



22-ე განყოფილება ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი

- მოქმედების სფერო
- ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაცია ვალდებულებად ან საკუთარ კაპიტალად
- წილობრივი ინსტრუმენტების თავდაპირველი გამოშვება
- აქტივების განაწილება მესაკუთრეებზე
- განმარტებითი შენიშვნები
- სრულ ფასს-თან შედარება

22-ე განყოფილება განსაზღვრავს ფინანსური ინსტრუმენტების ვალდებულებებად, ან წილობრივ ინსტრუმენტებად კლასიფიცირების პრინციპებს;

განყოფილება გამოიყენება ყველა ტიპის ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაციისათვის, გარდა:

- (ა) შვილობილ საწარმოებში, მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საქმიანობაში ფლობილი წილებისა;
- (ბ) დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების პროგრამებთან დაკავშირებული ფინანსური ინსტრუმენტებისა;
- (გ) საწარმოთა გაერთიანების დროს პირობით კომპენსაციაზე დადებული ხელშეკრულებებისა;
- (დ) აქციებზე დაფუძნებული გადახდის შეთანხმებებით გათვალისწინებული ფინანსური ინსტრუმენტებისა.

ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაცია ვალდებულებად ან საკუთარ კაპიტალად

- კლასიფიკაცია ხდება ხელშეკრულების შინაარსის და არა იურიდიული ფორმის მიხედვით.
- ფინანსური ინსტრუმენტი კლასიფიცირდება როგორც ვალდებულება თუ საწარმოს არა აქვს უპირობო უფლება, თავი აარიდოს ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის გადაცემას სახელშეკრულებო ვალდებულების დასაფარად (22.4 და 22.5 პუნქტებით განსაზღვრულია გამონაკლისები).
- საკუთარი კაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ.

წილობრივი ინსტრუმენტების თავდაპირველი გამოშვება

წილობრივი ინსტრუმენტების (საკუთარი კაპიტალის) გამოშვება აღიარდება, როცა მეორე მხარე ვალდებული ხდება საწარმოს გადაუხადოს ფულადი სახსრები, ან სხვა რესურსები. თუ საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტი:

- (ა) გამოშვებულია ფულადი სახსრების ან სხვა რესურსების მიღებამდე, მისაღები თანხა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება, როგორც საკუთარ კაპიტალთან ურთიერთგადაფარვა და არა როგორც აქტივი;
- (ბ) გამოშვებამდე მიიღებს ფულად სახსრებს ან სხვა რესურსს და არ მოეთხოვება მათი დაბრუნება, აღიარდება საკუთარი კაპიტალის შესაბამისი ზრდა; და
- (გ) ხელმოწერილია, მაგრამ ჯერ არ არის გამოშვებული და არც ფულადი სახსრები და სხვა რესურსი არ მიღებულა, საკუთარი კაპიტალის ზრდა არ აღიარდება.

წილობრივი ინსტრუმენტების თავდაპირველი გამოშვება

წილობრივი ინსტრუმენტები ფასდება

- მიღებული ან მისაღები ფულადი სახსრების ან რესურსების რეალური ღირებულების მიხედვით, გარიგების დანახარჯების გამოკლებით;
- თუ გადახდა გადავადებულია და ფულის დროითი ღირებულება არსებითია, ფასდება დღევანდელი ღირებულებით.

გარიგების დანახარჯები გამოქვითება საკუთარი კაპიტალიდან.

მაგალითი - წილობრივი ინსტრუმენტების თავდაპირველი გამოშვება

63

მაგ 1.

საწარმოს დამფუძნებელმა რეგისტრაციისას კაპიტალში შეიტანა
შენობა რომლის საბაზრო ღირებულება შეადგენდა 100,000 ფე-ს.

დ) შენობა

100,000

კ) საწესდებო კაპიტალი

100,000

მაგალითი - წილობრივი ინსტრუმენტების თავდაპირველი გამოშვება

64

მაგ 2. 2011 წლის 1 იანვარს საწარმოს რეგისტრაციისას დამფუძნებელმა კაპიტალში შეიტანა 100,000 ფე ნაღდი ფულის სახით და აგრეთვე აიღო ვალდებულება რომ 2 წლის შემდეგ 2012 წლის 31 დეკემბერს კაპიტალში შეიტანს დამატებით 900,000 ფე-ს. დავუშვათ დისკონტირების განაკვეთია 5%

1/01/2011

დ)	ფულადი სახსრები	100,000	
დ)	მოთხოვნა კაპიტალის შევსებაზე	816,327	
კ)	საწესდებო კაპიტალი		916,327
	$900,000 \text{ფე} \div (1.05)^2 = 816,327 \text{ფე}$		

31/12/2011

დ)	მოთხოვნა კაპიტალის შევსებაზე	40,816	
კ)	საპროცენტო შემოსავლები (მ/ზ)		40,816

მაგალითი - წილობრივი ინსტრუმენტების თავდაპირველი გამოშვება

65

მაგ 2. (გაგრძელება)

31/12/2011

დ)	მოთხოვნი კაპიტალის შევსებაზე	42,857	
კ)	საპროცენტო შემოსავლები (მ/ზ)		42,857
	857,143 ფე x 5%		

31/12/2012

დ)	ფულადი სახსრები	900,000	
კ)	მოთხოვნი კაპიტალის შევსებაზე		900,000

მაგალითი - წილობრივი ინსტრუმენტების თავდაპირველი გამოშვება

66

მაგ 2. (გაგრძელება)

კაპიტალი	31.12.2012	31.12.2011	1.01.2011
საწესდებო კაპიტალი	916,327	916,327	916,327
მოთხოვნა კაპიტალის შევსებაზე	-	(857,143)	(816,327)
გაუნაწილებელი მოგება	83,673	40,816	-
სულ კაპიტალი	1,000,000	100,000	100,000

მესაკუთრეებზე განაწილებული თანხის ოდენობით მცირდება საწარმოს საკუთარი კაპიტალი.

მესაკუთრეებზე არაფულადი აქტივების განაწილებისას:

- ამგვარი განაწილების შესახებ გამოცხადების მომენტში აღიარდება ვალდებულება გასანაწილებელი აქტივების რეალური ღირებულებით (თუ შეუძლებელია რ.ღ საიმედოდ შეფასება გასანაწილებელი აქტივების საბალანსო ღირებულებით),
- ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ანგარიშსწორების თარიღისთვის, გადასახდელი დივიდენდების საბალანსო ღირებულება კორექტირდება გასანაწილებელი აქტივების რეალური ღირებულების ცვლილებით. ცვლილებები აისახება საკუთარ კაპიტალში.
- დივიდენდების დავალიანების დაფარვისას, განაწილებული აქტივების საბალანსო ღირებულებასა და გადასახდელი დივიდენდების საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მაგალითი - აქტივების განაწილება მისაკუთრებზე

მაგ 3 (29). 2011 წლის 1 სექტემბერს საწარმომ გამოაცხადა დამფუძნებელზე დივიდენის სახით 2 ავტომობილის გაცემა რომელიც აღარ გამოიყენებოდა საქმიანობის პროცესში. ავტომობილების გადაცემა მოხდება 2012 წლის 10 აპრილს. 2011 წლის 1 სექტემბერს აღნიშნული ავტომობილების ნეტო საბალანსო ღირებულება შეადგენდა 55,000 ფე-ს და მათი რეალური ღირებულება შეადგენს 56,000 ფე-ს. 2011 წლის 31 დეკემბერს ავტომობილების რეალური ღირებულებაა 56,800 ფე ხოლო ნეტო საბალანსო ღირებულება 54,500 ფე. 2012 წლის 10 აპრილს როდესაც მოხდა ავტომობილების გადაცემა მათი ნეტო საბალანსო ღირებულება იყო 54,000 ფე ხოლო რეალური ღირებულება 55,000 ფე.

1/01/20X1

დ)	გაუნაწილებელი მოგება	56,000	
კ)	გადასახდელი დივიდენდი		56,000

მაგალითი - აქტივების განაწილება მესაკუთრეებზე

69

მაგ 3 (29). (გაგრძელება)

31/12/20X1

დ)	გაუნაწილებელი მოგება	800	
კ)	გადასახდელი დივიდენდი		800
	(56,800-56,000)		

10/04/20X2

დ)	გადასახდელი დივიდენდი	1,800	
კ)	გაუნაწილებელი მოგება		1,800
	(55,000-56,800)		

დ)	გადასახდელი დივიდენდი	55,000	
კ)	ავტომანქანა		54,000
კ)	მოგება ავტომობილის გასვლიდან		1,000

განმარტებითი შენიშვნები

- თუ შეუძლებელია გასანაწილებელი აქტივების რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, საწარმომ უნდა გაამჟღავნოს თავად ეს ფაქტი და მისი მიზეზები.

- უფრო ადვილი ენით არის გადმოცემული, მოიცავს ნაკლებ მითითებებს აღრიცხვის პრინციპების გამოსაყენებლად.
- მსს ფასს შეიცავს დამატებით მითითებებს წილობრივი ინსტრუმენტების გამოშვებაზე.